ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გავლენა მცირე მეურნეებზე საქართველოში

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

OXFAM

მოხსენების ავტორი: თომას ლაინსი.

კვლევა მომზადდა ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის ”ოქსფამის”, ”ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფისა და მცირე ფერმერების მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებს.

დიდი ბრიტანეთის ოქსფამის საქართველოს წარმომადგენლობა
თბილისი

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გავლენა მცირე მეურნეებზე საქართველოში
მოკლე საინფორმაციო მოხსენება

მოკლე მიმოხილვა

საქართველო პატარა ქვეყანაა, ბევრი უპირატესობითა და უდიდესი პოტენციალით. იგი გეოგრაფიულად მრავალფეროვანია, მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და უძველესი კულტურით, დიდებული ლანდშაფტით, უმაღლესად განვითარებული კვების კულტურითა და საუცხოო სამზარეულოთი, გააჩნია ღვინის უნიკალური ტრადიცია და მრავალი სხვა, რითიც იზიდავს ტურისტებს.

ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტია დასაქმებული და ძირითადად მოიცავს კომერციულ და არაკომერციულ მეურნეობებს. მიუხედავად ამისა, საკვები პროდუქტები კვლავ იმპორტულია, რადგან ქვეყნის შიდა წარმოება 1991 წლის დამოუკიდებლობამდე მიღწეულ დონეზე საგრძნობლად დაბალი რჩება.

საქართველოს, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის და ეკონომიკური ურთიერთობის ბლოკის სხვა ქვეყნებს, სურვილი აქვს დაუახლოვდეს ევროპას და გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2016 წლის 1 ივლისს, როდესაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება შევიდა ძალაში, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი სავაჭრო შეთანხმებაა, რომელიც საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის გამორიცხავს ყველანაირ საგადასახადო ტარიფებს და მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობის ადაპტაციას ევროკავშირის შიდა ბაზრის კანონმდებლობასთან. საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების და ერთიანი ეკონომიკური რეგულაციების მეშვეობით, საქართველოს საშუალება ექნება გახდეს ევროკავშირის ბაზრის წევრი ქვეყანა, თუმცა, ამავე დროს, შეზღუდული ექნება მოქალაქეთა (მუშახელის) გადაადგილება.

ეს შეთანხმება უდაოდ ხელსაყრელია საქართველოსთვის, თუმცა დაკავშირებულია სერიოზულ რისკებთანაც, განსაკუთრებით კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც გავლენას ახდენს მცირე საოჯახო მეურნეობებზე. შეთანხმების მოთხოვნები ძირითადად ეხება სურსათის წარმოებისას ჰიგიენის მკაცრი ნორმების დაცვას, სურსათის უვნებლობასა და ცხოველთა ჯანმრთელობას. მართალია, შეთანხმებას არ შეიძლება ჰქონდეს სურსათისა და სოფლის მეურნეობის არსებულ ბაზარზე დიდი გავლენა, თუმცა კაპიტალის თავისუფალი მიმოქცევის შედეგად შეიძლება გაჩნდეს გარკვეული რისკები, რაც დაკავშირებულია საქართველოს შიდა ბაზარზე უცხოური კომპანიების გამოჩენასთან.

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული შესაძლებლობები სრულად იქნეს გამოყენებული და სამომავლო განვითარებისთვის კატალიზატორის ფუნქცია შეასრულოს, საჭიროა დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ ამ ღონისძიებების განხორციელებას. ხელისუფლებამ უნდა ითანამშრომლოს და მოუსმინოს მცირე მეურნეებს, გაიგოს მათი შეხედულებები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების შესახებ და იმოქმედოს შესაბამისად. თუ აღნიშნული პოლიტიკა არ იქნება მორგებული მცირე მეურნეების საჭიროებებზე, არსებობს საფრთხე, რომ საქართველოში ექსპორტის (განსაკუთრებით ღვინის ექსპორტის და მომსახურების სფეროში) გაზრდის შემთხვევაში, მცირე მეურნეების მიერ ვერ მოხდება ვერანაირი სარგებლის მიღება, რადგან ამ უპირატესობით მხოლოდ მსხვილი საწარმოები ისარგებლებენ. ამ შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება ევროკავშირის ბაზრებზე ინტეგრაციასთან ერთად.

აქედან გამომდინარე, ჩვენ წამოვაყენეთ რამდენიმე წინადადება, რომელიც დაეხმარება მცირე მეურნეობების განვითარებას საქართველოში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე მეურნეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში დიდ როლს თამაშობს სამოქალაქო ჩართულობა და აღნიშნული მიზნის მიღწევა მოითხოვს ყველა სექტორის სრულ მხარდაჭერასა და რეფორმებს. გთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს:

- გაიზარდოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი მთლიანი სახელმწიფო დანახარჯების 10%-მდე.
- გაიზარდოს სასოფლო-სამეურნეო სახნავ-სათესი სავარგულების რიცხვი, განსაკუთრებით ძირითად საკვებ კულტურებში.
- განვითარდეს ინფრასტრუქტურა სოფლად, მათ შორის ტრანსპორტი, სასაწყობე მეურნეობები და სასო-

ფლო-სამეურნეო ნარჩენების მართვა.

- შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო და სასწავლო ცენტრი, რომელიც უფასოდ შესთავაზებს მომსახურებას როგორც ქალებს, ისევე კაცებს.
- უზრუნველყოფილ იქნას მცირე მეურნეთა უფლებების დაცვა მიწის საკუთრებაზე, ხელი შეეწყოს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას და შეიქმნას მცირე მეურნეთა ფინანსური მხარდაჭერის სქემები.
- განსაკუთრებით ხელი შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მთიან რეგიონებში.
- ხელი შეეწყოთ მცირე მეურნეებს დააკმაყოფილონ სურსათის უვნებლობის ახალი სტანდარტები, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ფარგლებში.
- ხელი შეეწყოთ მცირე მეურნეებს განსაკუთრებით ვაზისა და ღვინის სექტორის განვითარების საქმეში.
- ხელი შეეწყოს სასოფლო და გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას.

აღნიშნული მოხსენების მიზანი არ არის გადაჭარბებული მოლოდინი შექმნას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების სარგებლის შესახებ, არც გამორიცხოს მცირე მეურნეობები ამ შეთანხმების მოქმედების არეალიდან. თუმცა მოხსენების მიზანია მისცეს შესაძლებლობა მცირე მეურნეობებსა და სოფლად არსებულ თემებს გამოიყენონ აღნიშნული შეთანხმების სიკეთეები თავიანთ სასარგებლოდ, აღნიშნულ ჯგუფებზე მორგებული პოლიტიკისა და პარალელური პროგრამების მოძიების გზით, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული შეთანხმების პირდაპირი ბენეფიციარები საქართველოს საზოგადოების სრულიად სხვა ნაწილია.

1. შესავალი

საქართველო პატარა ქვეყანაა, ბევრი უპირატესობითა და უდიდესი პოტენციალით. იგი გეოგრაფიულად მრავალფეროვანია, მრავალსაუკუნოვანი ისტორიითა და უძველესი კულტურით, დიდებული ლანდშაფტით, უმაღლესად განვითარებული კვების კულტურითა და საუცხოო სამზარეულოთი, გააჩნია ღვინის უნიკალური ტრადიცია და მრავალი სხვა, რითიც იზიდავს ტურისტებს.

ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტია დასაქმებული და ძირითადად მოიცავს კომერციულ და არაკომერციულ მეურნეობებს. მიუხედავად ამისა, საკვები პროდუქტების ¾ კვლავ იმპორტულია.

საქართველოს, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის და ეკონომიკური ურთიერთობის ბლოკის სხვა ქვეყნებს, სურვილი აქვს დაუახლოვდეს ევროპას და გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2016 წლის 1 ივლისს, როდესაც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება შევიდა ძალაში.

მსგავსი შეთანხმებები ევროკავშირთან აქვთ ასევე მოლდოვას და უკრაინას, რომლის მთავარი მიზანია შეიქმნას „ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე“ (DCFTA) და მოიხსნას ყველა სახის სავაჭრო ტარიფები საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რათა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ტემპებმა ფეხი აუწყოს ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ტემპებს. ეს შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოს შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის შიდა ბაზრის კანონმდებლობასთან.

ეს შეთანხმება უდაოდ დიდ უპირატესობას სთავაზობს საქართველოს, თუმცა დაკავშირებულია სერიოზულ რისკებთანაც, განსაკუთრებით კანონმდებლობის იმ ნაწილში, რომელიც გავლენას ახდენს მცირე საოჯახო მეურნეობებზე. იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული შესაძლებლობები სრულად იქნეს გამოყენებული და სამომავლო განვითარებისთვის კატალიზატორის ფუნქცია შეასრულოს, საჭიროა დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ ამ ღონისძიებების განხორციელებას. ხელისუფლებამ უნდა ითანამშრომლოს და მოუსმინოს მცირე მეურნეებს, გაიგოს მათი შეხედულებები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების შესახებ და იმოქმედოს შესაბამისად. რამდენად სერიოზულია ეს რისკები, რა სახის პოლიტიკის შემუშავება არის საჭირო მათ დასაძლევად და როგორი უნდა იყოს ეს პოლიტიკა?

სწორედ ამ კითხვებს ვცდილობთ პასუხი გაეცეს აღნიშნული მოხსენებით. შემდეგ თავში მოკლედ არის აღწერილი (DCFTA) ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და მდიდარი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყნებთან ინტეგრაციის სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. შემდეგ თავებში ასევე აღწერილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული მდგომარეობა სასურსათო უსაფრთხოებაზე განსაკუთრებული აქცენტით. ხოლო მე-4 და მე-5 თავებში განიხილულია ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო

ვაჭრობისა და შიდა ინვესტიციების გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროზე. მოხსენების ბოლოს მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც მცირე მეურნეებს მისცემს შესაძლებლობას ისარგებლონ ზემოაღნიშნული შეთანხმების ბენეფიტებით.

2. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია

2012 წლამდე, პარტიის „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე, ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის უგულებელყოფა. ახალმა მთავრობამ კი ეს დარგი, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასთან ერთად, დღის წესრიგში დააყენა. შეთანხმების მთავარი მიზანია მიაღწიოს საქართველოს თანმიმდევრულ ეკონომიკურ ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე. კერძოდ, შექმნას ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს ბაზარზე წვდომას, მდგრადი და ყოვლისმომცველი ჰარმონიზაციის პროცესის მეშვეობით.[1]

ამ შეთანხმებას (DCFTA) შორსმჭვრეტელი მიზნები აქვს: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ყველა სახის ტარიფების გაუქმება იმპორტსა და ექსპორტზე და ამ ორ სუბიექტს შორის კაპიტალის შეუზღუდავი მიმოქცევა. ამისათვის აუცილებელია გადაიხედოს შიდა კანონმდებლობა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ევროპის ქვეყნების შიდა ბაზრებთან დაახლოებას. ასევე, აუცილებელია მოხდეს ევროკავშირის იმ რეგულაციების დანერგვა, რომელიც არეგულირებს სავაჭრო ურთიერთობებს. შეთანხმების მოთხოვნები ძირითადად ეხება სურსათის წარმოებისას ჰიგიენის მკაცრი ნორმების დაცვას, სურსათის უვნებლობასა და ცხოველთა ჯანმრთელობას (აღნიშნული ტერმინები ხშირად ერთობლივად მოიხსენიება როგორც “სურსათის უვნებლობა“ ან “სანიტარული და ფიტოსანიტარული (SPS) სტანდარტები“). ამ სტანდარტების სრულყოფილად დანერგვა კოლოსალურ სამუშაოსთან არის დაკავშირებული, რაც გულისხმობს 2030 წლისთვის ევროკავშირის 375 დირექტივის და რეგულაციის მიღებას. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად 2010 წელს, სანამ ხელი მოეწერებოდა შეთანხმებას, დაიგეგმა, რომ 2014 წლამდე მოხდებოდა 43 დირექტივისა და რეგულაციის მიღება. თუმცა აღნიშნული პროცესი გადაიდო 2020 წლამდე „დაგეგმილ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენის გამო”.[2]

ეს ძალიან რთული ამოცანა იყო იმ რეალობაში, სადაც გათვალისწინებული სტანდარტების შესრულებას დიდი წინააღმდეგობა ხვდება სხვადასხვა ჯგუფებისგან. მაგალითად, ზოგიერთი ფერმერი წინააღმდეგია ცხოველების რეგისტრაციისა და ვაქცინაციის, მალავს პირუტყვის რიცხვს იმის შიშით, რომ მოხდება მისი დაბეგვრა.[3] საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დამცველი ამგვარად აღწერს არსებულ სიტუაციას ხორცპროდუქტების სექტორში:

„ევროპაში სურსათის უვნებლობა შინაური პირუტყვის ჯანმრთელობიდან იწყება, რაც მოიცავს რეგულარულ ვაქცინაციას და დაავდებულ ან აუცრელ ცხოველებთან კონტაქტის მუდმივ მონიტორინგს. გარდა ამისა, სავალდებულოა ყველა პირუტყვის რეგისტრაცია და შემოწმება ვეტერინარის მიერ. დამატებით, არსებობს პირუტყვის დაკვლის, ხორცის გადამუშავების და ჰიგიენის ნორმები. ჩვენ კიდევ რამდენიმე წელი გვჭირდება იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ ყველა ეს მოთხოვნა.“[4]

ამასთან ერთად, საჭიროა რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანა მრავალ სხვა სფეროშიც, როგორიცაა ტექნიკური სტანდარტები, სავაჭრო პროცედურები და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები (პატენტი, საავტორო უფლება და სავაჭრო ნიშნები). ასევე, უნდა მოხდეს კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის და საგადასახადო რეგულაციების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება. საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობით და საერთო ეკონომიკური რეგულაციების ჩამოყალიბებით საქართველო მალე ევროკავშირის ბაზრის ნაწილი გახდება, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისით: მუშახელის

1 ევროკომისია (2014), საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება, მიზანი „თ“ (ცხრიდან მერვე მიზანი), გვ. 7, http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)&from=EN (ოქტომბერი 2016).

2 საქართველოს მთავრობა (2010), სურსათის უვნებლობის ყოვლისმომცველი სტრატეგიის და საკანონმდებლო დაახლოვების პროგრამა, დანართი 1, გვ. 63-90, http://gov.ge/files/41_32356_419541_Food_Safety_Strategy.pdf. ამონარიდი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მოხსენებიდან (2015), სურსათის უვნებლობის რეგულირება საქართველოში: მთავრობის რეფორმის შეფასება, 2014 წელი, თბილისი, გვ. 9, www.epfound.ge/wp-content/uploads/2016/09/Food-Safety-Regulation-in-Georgia-Assessment_-of-the-Governments-Reform-Efforts-in-2014-ENG.pdf (ოქტომბერი 2016).

3 ჟურნალი „Georgian Journal (2015), “აქვს თუ არა მომავალი ქართულ ხორცს ევროპულ ბაზარზე?” თბილისი, 12 ივნისი, www.georgianjournal.ge/business/30764-does-georgian-meat-have-a-future-at-the-european-market.html (ოქტომბერი 2016).

4 Georgian Journal (2015).

თავისუფალი გადაადგილება კვლავ შეზღუდული დარჩება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ეს თანამშრომლობა მეტწილად მომგებიანი იქნება უფრო ევროკავშირისთვის, ვიდრე საქართველოსთვის, ვინაიდან ევროკავშირის ეკონომიკა უფრო მსხვილია და შესაბამისად უფრო მეტი ტექნიკური და ადამიანური რესურსი აქვს. 2014 წელს ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) € 13.921 მილიარდს შეადგენდა, 1000-ჯერ მეტს ვიდრე საქართველოს მშპ € 12.1 მილიარდი[5]. ასე რომ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ინვესტიციების უმრავლესობა ევროკავშირის მხრიდან განხორციელდება საქართველოში და საკითხავია ის, თუ რამდენად თანაბრად გადანაწილდება ამ ინვესტიციებიდან მიღებული სარგებელი საქართველოს მოსახლეობას, მათ შორის ფერმერებს, შორის. ამ სიტუაციაში კანონი კონკურენციის შესახებ ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან ეროვნული მონოპოლიაც კი სავარაუდოდ ბევრად მცირე ზომისაა, ვიდრე ევროკავშირის ნებისმიერი წამყვანი კომპანია იმავე სექტორში და, შესაბამისად, რთული იქნება მათთვის კონკურენციის გაწევა.

ევროკავშირის კანონმდებლობა, რომელიც ძლიერი ადმინისტრაციული და სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირებას უწყობს ხელს, იქმნებოდა მაღალგანვითარებული და მრავალფეროვანი ეკონომიკის მქონე მდიდარი ქვეყნების ჯგუფის მიერ. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ მისი გადმოღება აუცილებელია პატარა, დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნისთვის, რომლის წამყვანი სფეროა აგრარული ეკონომიკა და რომლის მოსახლეობის ნახევარი დამოკიდებულია არაკომერციულ მეურნეობაზე. ამის გათვალისწინებით, DCFTA დიდ შესაძლებლობებს უქმნის ქართველ ექსპორტიორებს, თუმცა, ამავე დროს, საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ბაზრებს, ვინაიდან არსებობს საფრთხე იმისა, რომ ევროპული პროდუქცია შთანთქავს ადგილობრივ წარმოებას.

DCFTA ასევე მოიცავს მოკლე თავებს გარემოს დაცვისა და შრომის რეგულაციებზე, თუმცა, ამ სფეროში საქართველოსათვის არ არის სავალდებულო ევროკავშირის მოწინავე კანონმდებლობასთან დაახლოება, როგორც ეს იყო სურსათის უვნებლობისა და პირუტყვის ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით. DCFTA შეიცავს სავალდებულო მოთხოვნას გენმოდიფიცირებული ორგანიზმების (გმო) გამოყენების წინააღმდეგ, თუმცა მისი მოთხოვნები არ შეეხება სხვა ისეთ გარემოსდაცვით საკითხებს, როგორიცაა ჭარბი პესტიციდები, ქიმიკატების არასწორი გამოყენება და ნიადაგის გამოფიტვა.

მუხლი 242.1 პირდაპირ გამორიცხავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისთვის მიმართვის ან სხვა მსგავსი მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას გარემოსდაცვით დავებზე. აღნიშნულმა მექანიზმებმა ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის დადებულ მსგავსი სავაჭრო ხელშეკრულებების ფარგლებშიც ვერ იმუშავა. ისინი უფრო დეკლარაციულ ხასიათს ატარებენ და შესაბამისად, არის იმის საფრთხე, რომ ამ შემთხვევაშიც იგივე განმეორდება.

მართალია, საქართველოს მსგავსმა ბევრმა ქვეყანამ ისარგებლა უფრო ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებთან ინტეგრაცით, მაგრამ ყველამ ვერა. განსხვავდება მათი გამოცდილებებიც და მნიშვნელოვანია, გავიგოთ რატომ.

1973-1986 წლებში რამდენიმე სამხრეთ ევროპული ქვეყანა, რომლებიც ევროკავშირის არსებულ წევრ ქვეყნებთან შედარებით უფრო ღარიბი ეკონომიკის ქვეყნები იყვნენ, გახდა ევროკავშირის და ევროკომისიის წევრი. იგივე შეიძლება ითქვას იმ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებზე, რომლებიც 2004 წლიდან შეუერთდნენ ევროკავშირსა და ევროკომისიას. მაგალითად, საკმაოდ სწრაფად და წარმატებით განხორციელდა ადრე შესული ქვეყნების (საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი და ირლანდია) ინტეგრაცია, რაშიც დიდი როლი ითამაშეს ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროგრამებმა.

ევროკავშირის იმ 13 ქვეყნიდან, რომლებმაც სულ ახლახანს მოახდინეს ევროკავშირთან ინტეგრაცია, უმეტესობამ ძლიერ ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია. იმ 10 ქვეყნიდან, რომელიც 2004 წელს შეუერთდა ევროკავშირს, 8 ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 9-დან 38 პროცენტამდე გაიზარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში (2005-2015). თუმცა კვიპროსის და სლოვენიის ეკონომიკა შემცირდა 17 და 4 პროცენტით. ამავე პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა იმ სამ ქვეყანაში, რომელიც ყველაზე ბოლოს შევიდა ევროკავშირში, მათ შორის რუმინეთში - 65%-ით.[6] თუმცა, ეს რიცხვები არაფერს გვეუბნება სოფლად შემოსავლების განაწილების ან ფერმერთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; არც ის ჩანს ამ რიცხვებიდან ცხადად, თუ რამდენად არის ეს ზრდა დამოკიდებული ევროკავშირის წევრობაზე ან რამდენად სრულყოფილად განხორციელდა ეს ცვლილებები 1990-იანი წლების შემდგომ. ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო ფაქტორი შეიძლება იყოს ქვეყნებს შორის მუშახელის გადინება, რომლებიც სამუშაოდ წავიდნენ ევროკავშირის

5 მონაცემები აღებული შემდეგი ვებ-გვერდებიდან https://europa.eu/european-union/about-eu/figures/economy_en და (www.focus-economics.com/country-indicator/georgia/gdp-eur-bn (ოქტომბერი 2016).

6 მონაცემები შემდეგი ვებ-გვერდიდან: http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/File:Real_GDP_growth,_2005%E2%80%932015_(%C2%B9)_(%25_change_compared_with_the_previous_year;_%25_per_annum)_YB16.png (ოქტომბერი, 2016).

უფრო წარმატებულ ქვეყნებში და საკუთარ ქვეყნებში დაიწყეს გზავნილების გაგზავნა, რომლის შესაძლებლობაც ასე ადვილად არ ექნება საქართველოს მოსახლეობას.

ხდება პირიქით - მსოფლიოს იმ პატარა აგრარულ ქვეყნებში, რომლებიც გლობალიზაციის საფრთხის წინაშე დგანან, იზრდება სურსათის იმპორტი და მცირდება თვითკმარობა, რაც არავითარი სარგებლის მომტანი არ არის კომერციული და არაკომერციული მეურნეობებისათვის. ეს ზიანს აყენებს, როგორც სასურსათო უსაფრთხოებას, ასევე ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსს. ნაწილობრივ ამის მიზეზი არის ის, რომ საერთაშორისო ბაზრებსა და ფერმერთა არაფორმალურ ბაზრებს შორის არ არის კავშირი და ძალიან განსხვავებულია მათი მიდგომები სურსათის უვნებლობისა და სხვა სტანდარტების განხორციელების შესახებ.[7]

ამის ერთ-ერთი ცნობილი მაგალითია ბევრად უფრო დიდი ქვეყნის, მექსიკის ვაჭრობის ლიბერალიზაცია შეერთებულ შტატებთან და კანადასთან, 1994 წელს დადებული ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (NAFTA) ფარგლებში, რამაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტის სწრაფი ზრდა (განსაკუთრებით სიმინდზე), მაგრამ ამავე დროს - უფრო დაბალი ფასები ძირითადი მწარმოებლებისთვის და შემოსავლების უფრო დიდი უთანასწორობა, რის გამოც ყველაზე მეტად დაზარალდნენ ღარიბი რეგიონები და ღარიბი ფერმერები.

სოფლად შემოსავლების ანალიზმა გვაჩვენა: „1991 წელს თვითდასაქმებულმა ფერმერებმა გამოიმუშავეს 1959 პესო თვეში, ხოლო იმავე ოდენობით გაწეულ სამუშაოში 2003 წელს, მხოლოდ 228 პესო, და პირიქით (სოფლის მეურნეობაში) დასაქმებულთა ხელფასები 2003 წელს გაიზარდა 626 პესოდან 1,165 პესომდე ... მაშინ როდესაც ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით (NAFTA), სოფლის მეურნეობაში დამსაქმებულთა შემოსავლები იზრდებოდა, საოჯახო მეურნეობები მასიურად კარგავდნენ შემოსავლებს.“[8]

კიდევ ერთ ანგარიშში მოცემულია დასკვნა, რომ „მექსიკის მთავრობამ NAFTA-ს შედეგად სოფლის მეურნეობის სექტორის დიდი ნაწილი შესწირა ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტისათვის უპირატესობის მიღებას - უფრო თეორიულად, ვიდრე რეალურად. მიუხედავად იმისა, რომ მექსიკა არ იყო კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობის სფეროში, მან მთლიანად გახსნა თავისი აგრარული სექტორი და ამ კომერციულ ბრძოლაში იარაღის გარეშე ჩაერთო და პროტექციონიზმისა და სუბსიდიების სამყაროში დაუცველად დაიტოვა თავი.“[9]

არსებულ პოლიტიკაში მცირე მეურნეებისთვის საკომპენსაციო ცვლილებების გათვალისწინების გარეშე არსებობს საფრთხე, რომ საქართველოს ექსპორტის გაზრდის შემთხვევაში, ძირითადად მომსახურებისა და მეღვინეობის სფეროში, მცირე ფერმერები ვერ ისარგებლებენ DCFTA-ს უპირატესობებით. ამ შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარება ევროკავშირის ბაზრებზე ინტეგრაციასთან ერთად, რათა ავაცილოთ ეს მძიმე დარტყმა საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდ ნაწილს.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობა და სასურსათო უსაფრთხოება

გარკვეული ზომების გამო საქართველოს კარგი პოზიცია უკავია ძირითადი საკვები პროდუქტებისა და ნუტრიციის თვალსაზრისით. 2016 წლის გლობალური შიმშილის ინდექსის მიხედვით, 118 ქვეყნიდან საქართველოს მე-16 ადგილი ერგო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაჩვენებლები არ გაუმჯობესებულა 2008 წლის შემდეგ, შიმშილის საერთო ქულა საქართველოში 8.2-ია, რაც საკმაოდ დაბალია იმ ფონზე, როდესაც სხვა შვიდი ქვეყნის მდგომარეობა შეფასდა, როგორც „საგანგაშო“, 35.0-46.1 ქულების ფარგლებში. ინდექსის ოთხი კომპონენტიდან ქვეყანას ყველაზე ცუდი ქულა (10.9 - „ზომიერად“) მიენიჭა 5 წლამდე ბავშვებში “სიმაღლეში ჩამორჩენის“ გამო, რაც არასრულფასოვან კვებასთან პირდაპირ კავშირშია. მეორე მხრივ, ინდექსის თანახმად, 5 წლამდე ბავშვებში სიმაღლესთან შედარებით დაბალ წონას (რომელიც არასრულფასოვანი კვების შედეგია) და სიკვდილიანობას ძალიან დაბალი ქულები - 2.4 და 1.2. აქვს.[10]

---

7 ეს საკითხები სრულად იქნა განხილული დოკუმენტში - „სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი“ (2016), მცირე-მეურნეთა წვდომა ბაზრებზე: ანალიტიკური ნარკვევი, რომი www.csm4cfs.org/connecting-smallholders-markets-analytical-guide/.

8 უაიტ მ, და სხვები (2003), “ვაჭრობის გავლენა: მექსიკის მაგალითი: NAFTA და FTAA: სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმების გენდერული ანალიზი და სიღარიბის გავლენა“, ქალთა კოალიცია, გვ. 19, www.iatp-web.us/iatp/files/NAFTA_and_the_FTAA_A_Gender_Analysis_of_Employ.pdf (ნოემბერი, 2016).

9 დე იტა, ა (თარიღის გარეშე), “ლიბერალიზაციის გავლენა სოფლის მეურნეობაზე მექსიკაში: GATT-დან NAFTA-მდე“, მინიაპოლისი, სოფლის მეურნეობისა და სავაჭრო პოლიტიკის ინსტიტუტი, გვ. 1-2, www.iatp.org/files/Impact_of_Liberalization_of_Agriculture_in_Mex.htm (აგვისტო 2015).

10 სასურსათო პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (2016), გლობალური შიმშილის ინდექსი: დავიყვანოთ შიმშილი ნულამდე, /.http://ghi.ifpri.org/trends/.

ზემოაღნიშნული მონაცემები არანაირ ინფორმაციას არ გვაწვდის მოსახლეობის სურსათზე ფინანსურ და ფიზიკურ ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით სოფლად და დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებში.[11] თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს, წინა თაობაში უკვე ორჯერ გამოვლინდა სურსათზე ხელმისაწვდომობის სერიოზული პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო სურსათის ნაკლებობასთან. ერთ-ერთი შემთხვევა იყო სამოქალაქო ომის დროს, რომელიც 1991 წლის დამოუკიდებლობას მოჰყვა და დღემდე გრძელდება. აქ გასათვალისწინებელია ძლიერი მეზობელი ქვეყნის ფაქტორიც, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები - საქართველოს მნიშვნელოვანი ბაზრის ნაწილი.

საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობა კვლავ მწვავე დეფიციტს განიცდის სასოფლო-სამეურნეო, სურსათისა და სასმელების სფეროში, მაგრამ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა პოზიტიური ტენდენციებიც. მიუხედავად ამისა, იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. 2012 წელს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიხედვით, იმპორტირებულმა სურსათმა მოთხოვნის 80% შეადგინა, ხოლო 2014 წელს - 66%, რაც ასევე უჩვეულოდ მაღალი პროცენტია.[12] ზუსტი სტატისტიკის ნაკლებობა განაპირობებს იმას, რომ სასოფლო სამეურნეო წარმოება და სურსათით არაფორმალური ვაჭრობა რჩება ხელისუფლების და მათ შორის სტატისტიკოსების ყურადღების მიღმა. ეს კი განსაკუთრებით მწვავედ ეხება მაღალმთიან რეგიონებს.

ხელისუფლება სწორად იქცევა, როდესაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობას და სოფლის განვითარებას და განაგრძობს ხელშეწყობისა და განვითარების ყოვლისმომცველი გეგმის განხორციელებას. წინა ხელისუფლების უყურადღებობა სოფლის მეურნეობის სექტორისადმი აშკარად გამომჟღავნდა სოფლის მეურნეობის ახალ სტრატეგიაში, რომელიც სოფლის მურნეობის სამინისტრომ 2015 წელს გამოაქვეყნა:

„2010 წლისთვის მთლიანი ბიუჯეტიდან ყველაზე ნაკლები, 0,44% სოფლის მეურნეობაზე იყო დახარჯული... 2007 – 2010 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტში ყველაზე დიდი დანახარჯი ამა თუ იმ სახის სოციალური დახმარება იყო პურის ფქვილის, სურსათისა და საწვავის სახით.“[13]

2014 წლისთვის სოფლის-მეურნეობის სამინისტროს წილი ბიუჯეტში 2.9% -მდე გაიზარდა, სექტორი კი „მთავარ პრიორიტეტად“ გამოცხადდა.[14] გაეროს კომენტარებში სოფლის-მეურნეობის სტრატეგიის ძირითადი მიზნები ასე არის შეჯამებული:

„სოფლის მეურნეობის მოდერნიზება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარება (სარწყავი და სადრენაჟო, წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების, გადამამუშავებელი და სასაწყობე მეურნეობები, სოფლის გზები); მიწის საბაზრო და სარეგისტრაციო სისტემის გაუმჯობესება; ახალი საკრედიტო სქემების განვითარება ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად; ფერმერთა ჯგუფებისა და კოოპერატივების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.“[15]

ბოლო ათი წლის განმავლობაში მიწათსარგებლობა, ისევე როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ხასიათდებოდა მერყეობით, რომელიც მკვეთრად შემცირდა დამოუკიდებლობის შემდეგ. ამ პერიოდში მიწა დაიყო მცირე საოჯახო ნაკვეთებად და ფერმერთა უმრავლესობას არ გააჩნდა ზოგადი სასოფლო-სამეურნეო უნარ-ჩვევები, რადგან ყოფილ კოლმეურნეობებში შრომის ვიწრო სპეციალიზაცია იყო დანერგილი. 2006 წლიდან 2010 წელს კვლავ შემცირდა ერთწლიანი სათესი კულტურების სავარგულები 299.000 ჰა-დან 246.000 ჰექტრამდე, მაგრამ 2013 წელს ისევ გაიზარდა 294.000 ჰექტრამდე სახელმწიფოს მიერ მიწის დასამუშავებლად გაცემული სუბსიდიების

11 დეტალებისთვის იხილეთ ანალიტიკოსებისა და კონსულტანტების გუნდი და თ. მანჯავიძე (2016), “კვების ეროვნული კვლევა საქართველოში”, ოქსფამი დიდი ბრიტანეთი და ელკანა, http://foodsecuritysc.com/publication/national-nutrition-study-in-georgia/ (ნოემბერში 2016).

12 გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (2012), აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის აგროწარმოების განვითარების მოკლე მიმოხილვა: საქართველო, გვ. 4, www.fao.org/fileadmin/user_upload/Europe/documents/Publications/AI_briefs/AI_breiefs2012/fao_georgia.pdf, და გელაშვილი და სხვები (2014), საოჯახო მეურნეობების როლი საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების და სიღარიბის დაძლევაში, საქართველო, თბილისი: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, გვ. 8, www.aea.am/files/papers/w1504.pdf, (ოქტომბერი 2016).

13 სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015), საქართველოს 2015-2020 წწ. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია www.moa.gov.ge/Download/Files/92 თბილისი, გვ. 17, (ოქტომბერი 2016).

14 სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015), გვ. 18.

15 IFAD პორტალი: სოფლად სიღარიბის დაძლევა საქართველოში, www.ruralpovertyportal.org/country/approaches/tags/georgia (ოქტომბერი, 2016).

ხარჯზე.[16] 2006 წლიდან 2009 წლამდე შემცირდა პირუტყვის რაოდენობა - არსებული 1,08 მილიონიდან 1.01 მილიონამდე. თუმცა პირუტყვის რაოდენობამ იმატა 2013 წელს და მიაღწია 1.23 მილიონს. 2006 წლიდან 2011 წლამდე ცხვრისა და თხის რაოდენობა შემცირდა 789,000-დან 630,000-მდე, ხოლო 2013 წელს მოიმატა 857,000-მდე.[17] 2006 წლიდან 2010 წლამდე წლიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება შემცირდა 11.2 პროცენტით, მაგრამ 2013 წელს 2006 წელთან შედარებით გაიზარდა 14.6 პროცენტით.[18]

ზოგადად ყველა სახის პროდუქტის წარმოება დაბალია. ერთწლიანი კულტურების მოსავალი ყველაზე დაბალია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში სახეზეა „მკვეთრი უწყვეტი ზრდა". 2013 წელს ხორბლის საშუალო მოსავალი შეადგენდა 1.8 ტონას ერთ ჰექტარზე, ქერი კი - 1.3 ტ/ჰა, რაც 1970 წლის საშუალო დონესთან შედარებით ჯერ კიდევ დაბალია. კარტოფილის მოსავალი შეადგენდა 11.3 ტ/ჰა, ბოსტნეული - 8.3 ტ/ჰა და მწვანილი - 3.9 ტ/ჰა.[19] ევროკომისიისათვის მომზადებული შეფასების მიხედვით, ვაშლის მოსავალი ხშირად არ აღემატება 3 ტონას ჰექტარზე, მაგრამ თუკი გაუმჯობესდება წარმოების პრაქტიკა და მოხდება გარკვეულ საწარმოო რესურსში ინვესტირება, შესაძლებელია მოსავლის გაზრდა ჰექტარზე დაახლოებით 20 ტონამდე.[20]

დღევანდელი ხელისუფლება აღიარებს წინა ხელისუფლების შეცდომას სოფლის მეურნეობის დარგში და დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობაში მცირე ფერმერების როლს. 2014 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის მიხედვით, ქვეყანაში 572.000 საოჯახო მეურნეობა და 2,200 სასოფლო სამეურნეო გაერთიანება არსებობს, რომლებიც 1.2 - 49.2 ჰექტარამდე მიწას ფლობენ. საქართველოს მუშახელის 52% სწორედ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.[21] თუმცა სასოფლო-სამერნეო საქმიანობაში ჩართული მოსახლეობა ბერდება, რაც იქიდან ჩანს, რომ საოჯახო მეურნეობების მხოლოდ 22% -ს უძღვება 45 წლამდე ასაკის ადამიანი.[22]

მართალია, სოფლის მეურნეობის განვითარება არ არის მიჩნეული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორად, რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები საარსებო წყაროს წარმოადგენს და ძირითადად არაფორმალური ბაზრებისთვისაა განკუთვნილი. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია არ ფიქსირდება მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისას. 2015 წლისთვის სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს მშპ-ში 9.2 პროცენტამდე დაეცა.[23] მცირე მეურნეებს სუსტი პოზიცია უკავიათ ნებისმიერ ფორმალურ თუ არაფორმალურ ბაზარზე. უფრო მეტიც, ისინი გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან არაფორმალურ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის დროსაც კი. შესაბამისად, ისინი ფასებზე გავლენას ვერ ახდენენ, რისთვისაც საჭიროა საპასუხო პოლიტიკის შემუშავება.

იმპორტზე დამოკიდებულება სხვადასხვა საკვები პროდუქტის შემთხვევაში მკვეთრად განსხვავდება. 2014 წელს ადგილობრივად წარმოებულმა ხორბალმა, რომელიც მოსახლეობის კვების რაციონის 41%-ს შეადგენს, მოთხოვნის მხოლოდ 8% დაფარა. ხორბლის იმპორტი ძირითადად რუსეთიდან, ბოლო დროს კი უკრაინიდან ხდება. სხვა სურსათის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლი საკმაოდ მაღალია: მაგალითად, სიმინდზე - 92%, კარტოფილზე - 89%, ბოსტნეულზე - 70%, კვერცხზე - 96% და რძის პროდუქტებზე (2012 წლიდან) - 92%. ბოსტნეულის უმრავლესობა იმპორტირებულია თურქეთიდან. მეორე მხრივ, ხორცის თვითუზრუნველყოფის დონე ძალიან დაბალია და შეადგენს 41%-ს. 2012 წელს ხორცის სხვადასხვა სახეობის რაოდენობა მერყეობდა და შეადგენდა 83%-ს ცხვრის ხორცზე და 21%-ს ფრინველის ხორცზე.[24]

---

16 ბლუაშვილი და სუხანსკაია (2015), ანგარიში: საქართველო, აგრობიზნესის განვითარების ქართული ცენტრი, გვ. 17, ცხრილი II-8 www.agricistrade.eu/wp-content/uploads/2015/05/Agricistrade_Georgia.pdf (ოქტომბერი 2016).

17 სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015), ცხრილი 1, გვ. 13.

18 FAO -ს სტატისტიკა, http://faostat.fao.org/beta/en/#data/QI (ნოემბერი, 2016).

19 ბლუაშვილი და სუხანსკაია (2015), გვ. 18-19, ცხრილი www.agricistrade.eu/wp-content/uploads/2015/05/Agricistrade_Georgia.pdf (ოქტომბერი, 2016). ციტირებული წყარო საქსტატი.

20 Ecorys (2012), ევროკომისიის ვაჭრობის მდგრადობის ზეგავლენის შეფასება DCFTA-ის ფარგლებში ევროკავშირსა და საქართველოსა და მოლდოვის რესპუბლიკას შორის, როტერდამი, გვ. A91, http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2012/november/tradoc_150105.pdf (ოქტომბერი, 2016).

21 სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015), გვ. 17.

22 მონაცემები შემდეგი ვებ-გვერდიდან: www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/agriculture/AG%20Census%20Release_ENG_2016.pdf (ოქტომბერი, 2016).

23 მონაცემები შემდეგი ვებ-გვერდიდან: www.geostat.ge/?action=page&p_id=119&lang=eng (ოქტომბერი, 2016).

24 ოქსფამი (2016), სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების გამოწვევები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, გვ. 13 (2014 წლის მონაცემებით) და ოქსფამი (2014), საბაზისო კვლევა: სასურსათო უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში - შემაჯამებელი მიმოხილვა, გვ. 45 და ნახ. 17 გვ. 46 (2012 წ. მონაცემები). ასევე FAO-ს გლობალური საინფორმაციო და ადრეული გაფრთხილების სისტემა (GIEWS), www.fao.org/giews/pricetool/ ყველა წყაროდ გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის (საქსტატი) ეროვნული სამსახურის მონაცემები.

4. სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება გარკვეულ მომგებიან შესაძლებლობებს გვაძლევს - მაგალითად, ღვინის ექსპორტი ევროკავშირში უფრო გამარტივდება თუ ტარიფებს გავაუქმებთ და გავატარებთ სავალდებულო ცვლილებებს სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სფეროში - თუმცა, მეორე მხრივ, მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შეთანხმება გაზრდის კონკურენციის ზეწოლას საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში და გავლენას იქონიებს მათ შორის მცირე მეურნეებზეც. ევროკომისიის ვაჭრობის მდგრადობის ზეგავლენის შეფასების (TSIA) ანგარიშში საქართველოს სოფლის მეურნეობის საექსპორტო შესაძლებლობები დადებითად არის შეფასებული იმაზე დაყრდნობით, რომ საქართველოში წარმოებული ხილი და ბოსტნეული "ეკოლოგიურად სუფთაა" და თითქმის არ ხდება მათი გენმოდიფიცირება. ივარაუდება, რომ მომხმარებელი მზად იქნება გადაიხადოს მეტი, თუ ეცოდინება, რომ პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა (ან თუ ფერმერები მოახდენენ თავიანთი პროდუქციის სერტიფიცირებას და ასე გაიტანენ ბაზარზე).[25] 2015 წელს საქართველომ მოახდინა სოფლის მეურნეობაში არსებული სავაჭრო დეფიციტის შემცირება 2012 წელს არსებული 762 მილიონი აშშ დოლარიდან 497 მილიონ აშშ დოლარამდე. თავის მხრივ, ევროკავშირმა 2015 წელს მხოლოდ $ 36.8 მლნ დეფიციტი აღრიცხა (208 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ექსპორტისა და $ 245 მლნ იმპორტის ფონზე). ყველაზე დიდი ექსპორტი, რომელიც ამ წლებში განხორციელდა, იყო თხილის ექსპორტი, საერთო ღირებულებით $ 176 მილიონი, შემდეგ ღვინის ($ 96 მილიონი), მინერალური და სასმელი წყლების ($ 82 მილიონი) და ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი ($ 65 მილიონი).[26]

ნულოვანი ტარიფების შემთხვევაშიც კი ღარიბი ქვეყნები ზოგადად დიდ სირთულეებს აწყდებიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისას, ვინაიდან მცირე მეურნეთა უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს საჯარო ან კერძო სტანდარტებს განვითარებული ქვეყნების ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად.[27] გარდა საჯარო (შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამოყენების თაობაზე) SPS წესებისა, ევროკავშირში არა-ცხოველური წარმოშობის პროდუქციის ექსპორტიორებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ კერძო ორგანიზაციის, GlobalGap-ის სერთიფიკატი, რომელიც საკმაოდ ძვირია. დაახლოებით ათი წლის წინ გაერომ თავის ანგარიშში გამოთქვა შეშფოთება, რომ "უფრო რთული და მკაცრი ხდება სურსათის უვნებლობის და ეკოლოგიური მოთხოვნები წამყვან (ახალი ხილი და ბოსტნეული) საექსპორტო ბაზრებზე სახელმწიფო რეგულაციებისა და კერძო სექტორის მოთხოვნების გამო." ანგარიშში მოცემული რეკომენდაციის თანახმად, "ასეთ ქვეყნებში საჭიროა სტიმული მიეცეს იმპორტიორი ქვეყნების მსგავსი სურსათის ხარისხის მაკონტროლირებელი ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნას."[28] DCFTA-ს ფარგლებში კი აღნიშნულმა „სტიმულმა" მიიღო სახელშეკრულებო ვალდებულების ფორმა.

როგორც წესი, ევროკავშირი იცავს თავის ხილისა და ბოსტნეულის ბაზრებს „ბაზარზე შესვლის მინიმალური ფასის" გამოყენებით, რომლის გამოყენება ჯერ კიდევ ნებადართულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის WTO -ს თანახმად. ეს სისტემა ავალდებულებს ექსპორტიორს შეიტანოს პროდუქცია მინიმალურ ტარიფზე მაღალი ფასით, როდესაც იმპორტის ფასები წინასწარ განსაზღვრულ ფასებზე დაბალია. ეს სერიოზულ ბარიერს უქმნის დაბალი ფასების მქონე ქვეყნებს ევროკავშირის ბაზარზე, როგორიცაა საქართველო, რომელსაც პროდუქტი მოსავლის სეზონურობის შესაბამისად შეაქვს.

საქართველოდან ევროკავშირში ხორცის ექსპორტი აკრძალულია მანამ, სანამ საქართველო არ დააკმაყოფილებს SPS სანიტარულ და ფიტოსანიტარულ მოთხოვნებს, რასაც დრო სჭირდება. სხვა დაბრკოლებებს შორის საქართველოში არ არის აკრედიტებული ლაბორატორიები, რომლებიც შეამოწმებდნენ პროდუქციას ამ წესების თანახმად. ეს მოთხოვნები ძირითადად გულისხმობს პირუტყვის დაკვლის სტანდარტებს. თუმცა, მოხდა პირიქითაც - პოლონეთს, საფრანგეთს და ასევე ევროკავშირის სხვა არაწევრ ქვეყნებს არ დართეს ნება საკვები პროდუქტები შემოეტანა საქართველოში სურსათის უვნებლობის მოთხოვნების უგულებელყოფის გამო.[29]

---

25 Ecorys (2012), გვ. A92.

26 სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი (2016), " საქართველოში ამჟამინდელი სოფლის მეურნეობის ვაჭრობის პოლიტიკის მიმოხილვა ", პრეზენტაცია, თბილისი, სლაიდები 24 და 8.

27 ეს საკითხი განხილულია ტ. ლაინსის (2008) პუბლიკაციაში, სიღარიბის წარმოშობა: ისტორია, ლონდონი, გვ. 106-10.

28 გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე (UNCTAD) (2007), "სურსათის უვნებლობა და გარემოსდაცვითი მოთხოვნები საექსპორტო ბაზრებზე - ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებლები აზიის განვითარებად ქვეყნებში," ნიუ იორკი და ჟენევა, გვ. 101, http://unctad.org/en/Docs/ditcted20068_en.pdf.

29 ჟურნალი "Georgian Journal (2016)", რომელი პროდუქტის წარმოება აღარ ხდება საქართველოში და რომელი ქვეყნებიდან ხდება მისი იმპორტი, თბილისი, 3 სექტემბერი, www.georgianjournal.ge/business/32801-which-imported-products-are-destroyed-in-georgia-and-which-countries-are-they-imported-from.html

ბევრი აგრარული ქვეყანა ძირითადი საკვები პროდუქტების იმპორტზე სწორედ მაშინ გახდა დამოკიდებული, როდესაც 20-25 წლის წინ გახსნეს თავიანთი ბაზრები. იმპორტის გაფართოება ვაჭრობის ლიბერალიზაციის ფარგლებში ძალიან მგრძნობიარედ აისახება ფასებზე და მითუმეტეს ლარზე, რომელიც ბოლო დროს საკმაოდ დაბალი ღირებულებით გამოირჩევა საერთაშორისო ბაზარზე. ეს იმას გულისხმობს, რომ უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა ევროკავშირიდან ძვირი პროდუქციის ბაზარზე შემოსვლა, თუმცა, ეს არც არის გამორიცხული, განსაკუთრებით ევროკავშირის სუბსიდიების ფონზე. არსებული ტარიფები ევროკავშირიდან სასოფლო-სამეურნეო იმპორტზე საკმაოდ დაბალია (საშუალოდ 5.57%, თუმცა ტარიფი ბოსტნეულზე, ხილზე და თხილზე უფრო მეტია და შეადგენს 12%-ს).[30]

ევროკომისიის ვაჭრობის მდგრადობის ზეგავლენის შეფასების ანგარიშის თანახმად, DCFTA მესამე მხარეებზეც მოახდენს ზეგავლენას:

„ვინაიდან ადგილობრივი წარმოება უფრო დაცულია დაბალი ხარისხის იმპორტისგან გამკაცრებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გამო, ჩვენი მოლოდინები ბოსტნეულისა და ხილის (მაგრამ არა თხილის) იმპორტზე დადებითია, თუმცა რთულია ზუსტი მოგების წინასწარ განსაზღვრა. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობაში მოსალოდნელი არ არის რაიმე განსაკუთრებული ცვლილებები, მაგრამ სხვა ქვეყნებში ექსპორტი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს."[31]

"ჩვენ ვთვლით, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს თხილზე (სამომავლოდ, შესაძლოა სხვა თხილეულზეც), როგორც პრიორიტეტულ საექსპორტო კულტურაზე. თავისთავად პატარა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთ რომელიმე დიდ საექსპორტო ბაზარზე ჰქონდეს წვდომა. სხვა პროდუქტი, რომელსაც გააჩნია საექსპორტო პოტენციალი, როგორიცაა თაფლი, ორგანული ხილი, კენკრა და არამერქნული სატყეო პროდუქტები, კი აუცილებლად უნდა განვითარდეს."

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციამაც კი მოუწოდა საქართველოს, რომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს იმპორტის ჩანაცვლებას: „საქართველოს პრიორიტეტი უნდა იყოს იმპორტის ჩანაცვლება. სირცხვილია, რომ ხაჭაპური იმპორტირებული ხორბლით მზადდება, სირცხვილია, რომ თქვენი ყველი იმპორტირებული რძის ფხვნილით კეთდება და ეს არის ზუსტად ის, რაზეც თქვენ უნდა დაფიქრდეთ" - განაცხადა სურსათის უვნებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ატაშემ თავის განცხადებაში.[32]

5. უცხოური ინვესტიციებისათვის საზღვრების გახსნა

კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა რამდენიმე ნაკლებად შესამჩნევ რისკს უქმნის საქართველოს სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით მცირე ფერმერებს და მთავრობას, განსაკუთრებით საცალო ვაჭრობის, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვებისა და საგადასახადო შემოსავლების კუთხით.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სურსათის საცალო ვაჭრობის სფეროში უკვე დომინირებენ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კომპანიები. საქართველოში დომინანტი შემომტანები შესაძლებელია იყვნენ ევროპიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ვინაიდან ქვეყანა ძირითადად დამოკიდებულია სურსათის იმპორტზე, უცხოური სუპერმარკეტები ცდილობენ უცხოური პროდუქციის შეძენას, ვინაიდან ფიქრობენ, რომ ქართველი მცირე მეურნეები ვერ შეძლებენ მიწოდებისა და ხარისხის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მსგავსი ეკონომიკური და აგრარული ტიპის ქვეყნებში სუპერმარკეტების ქსელმა საკუთარი ცენტრალიზებული სისტემით ჩაანაცვლა საბითუმო მოვაჭრეები. სუპერმარკეტების ქსელი საქონელს ძირითადად იძენს მხოლოდ დიდი ფერმებიდან და იშვიათად რამდენიმე მცირე ფერმერისაგან. მათ მიერ მოთხოვნილი პროდუქციის რაოდენობის, სტანდარტების, შეფუთვისა და მიწოდების ვადების დაკმაყოფილება აშკარად აღემატება მცირე მეურნეთა შესაძლებლობებს, ხოლო დიდ სუპერმარკეტებს კი გააჩნიათ ამისი შესაძლებლობა.

სიტუაციის მიმოხილვის თანახმად,

"შემოღებულმა სტანდარტებმა და ინვესტიციებმა განვითარებად ქვეყნებში მრავალი მცირე ფირმა და ფერმა გამოდევნა ბიზნესიდან... სუპერმარკეტების ქსელები, რომლებიც ჩაბმულნი არიან სხვა დიდ ქსელებთან კონკუ-

30 ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (2014), ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, http://eap-csf.eu/assets/files/Documents/EU_Eng_DCFTA-Georgia.pdf, გვ. 11 (ოქტომბერი, 2016), და Ecorys (2012), გვ. A93. Georgian Journal (2015). ხაჭაპური ქართული კერძია, რომელიც პურით და ყველით მზადდება.

31 Ecorys (2012), გვ. A99.

32 Georgian Journal (2015). ხაჭაპური ქართული კერძია, რომელიც პურით და ყველით მზადდება.

რენციაში, სულ უფრო დაბლა სწევენ მარჟას, პროდუქციის ფასებს და საოპერაციო ხარჯებს და რისკებს. ეს ყველაფერი დიდ ქსელებს უბიძგებს იმისკენ, რომ საქმე დაიჭირონ მხოლოდ ყველაზე ძლიერ ფერმერებთან, ძირითადად კი საშუალო და მსხვილ ფერმერებთან".[33]

ხშირად უცხოური სუპერმარკეტები, რომლებიც სხვა უფრო ღარიბ ქვეყნებში თავიანთ ქსელს აფართოებენ, ხშირად ინარჩუნებენ არსებულ მომწოდებლებს და არ ახდენენ ადგილობრივი მწარმოებლების დაკონტრაქტებას.

ზამბიაში, სადაც სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის კიდევ უფრო მეტი პროცენტია დასაქმებული, ვიდრე საქართველოში, მაგრამ თითქმის უმნიშვნელოა სოფლის-მეურნეობის წილი მშპ-ში, იყო შემთხვევა, როდესაც ფერმერები იმუქრებოდნენ „დიდი კომპანიის გადაწვით, რადგან მათ დიდმა ქსელმა საარსებო წყარო მოუსპო".

ისინი ჩიოდნენ რომ: "ადგილობრივი ქალაქის ბაზარს, სადაც რეგულარულად ყიდდნენ ბოსტნეულს, ახლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის Shoprite-ის სუპერმარკეტების ქსელი ამარაგებდა ... იმის გამო, რომ სუპერმარკეტს დისტრიბუციის უკეთესი სისტემა და უფრო მიმზიდველი მაღაზია ჰქონდა, ფერმერებმა კონკურენცია ვერ გაუწიეს ასეთ მულტინაციონალურ ქსელს. მათ შეუწყდათ ბოსტნეულის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი შემოსავლის წყარო და შედეგად ვეღარ ახერხებდნენ თავის რჩენას."[34]

ქვეყნების უმეტესობას ამ ვითარებაში უჭირს რაიმე ზომები მიიღოს მცირე მეურნეთა მხარდასაჭერად. ყველაზე ოპტიმალური, რაც შეუძლიათ გააკეთონ, ირიბი დახმარებაა, როგორიცაა: კოოპერატივების წარმოების ხელშეწყობა და მარკეტინგი, მცირე მეურნეთა კვალიფიკაციის ამაღლება, რათა მათ შეძლონ სტანდარტების დაკმაყოფილება. წარსულში მთავრობას შეეძლო უცხოური სუპერმარკეტები აეძულებინა შეეძინათ ადგილობრივი მწარმოებლისგან, მაგრამ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებისა და DCFTA-ს თანახმად ეს უკვე შეუძლებელია.

ოქსფამის მხრიდანაც მოხდა გაფრთხილება მიწაზე უცხოური ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ.

„2000 და 2011 წლებში ძალიან ბევრი მიწის ნაკვეთი პირდაპირი წესით გაიყიდა ან გაიცა საბროკერო გარიგებით უცხო მთავრობების ან ტრანსნაციონალური კორპორაციების სახელით. საერთო ჯამში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაყიდულ იქნა 203 მილიონი ჰექტარი... რაც დაახლოებით რვაჯერ მეტია ვიდრე გაერთიანებული სამეფო და თითქმის მთელი ჩრდილო-დასავლეთ ევროპა."

2011 წელს ოქსფამის მიერ გამოქვეყნებულ გაფრთხილებაში ნათქვამი იყო:

"ღარიბი ადამიანები უმძიმეს დარტყმას მიიღებენ მიწაზე უცხოური ინვესტიციების განხორციელებით. ოქსფამის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობა რეგულარულად კარგავს მიწას და ვერ უმკლავდება ადგილობრივ დომინირებულ ფენას და საშინაო და საგარეო ინვესტორებს, რადგან მათ არ შესწევთ უნარი ისარგებლონ თავიანთი უფლებებით და ეფექტურად დაიცვან საკუთარი ინტერესები".

მიწაზე უცხოური ინვესტიციების განხორციელება სულ სხვა შედეგებს იძლევა, ვიდრე საარსებო საშუალებების, დასაქმების, მომსახურების და ინფრასტრუქტურის სფეროში ჩადებული ინვესტიციები. ერთ-ერთი ანალიზის მიხედვით, ძალიან ხშირად ეს კეთდება ადგილობრივ სასოფლო თემებთან კონსულტაციების გარეშე (იშვიათი გამონაკლისების გარდა), დაბალი კომპენსაციების გადახდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გარემოსდაცვითი მდგრადობის უგულებელყოფითა და ბუნებრივ რესურსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის ფონზე.[35] 2014 წლის სექტემბერში საქართველოსა და ჩინეთს შორის დაიდო ტიპიური ხელშეკრულება, რომლის თანახმად დაიგეგმა $25 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელება სვანეთში მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის, მეთევზეობის, პირუტყვის, ჩაის, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობების, ინფრასტრუქტურისა

33 ტ. რეარდონი, პ.ტიმერი და ჯ. ბერდეკე (2004), "სუპერმარკეტების წრაფი ზრდა განვითარებად ქვეყნებში: ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური და ტექნოლოგიური ცვლილების ბიძგი აგრარული კვების სისტემაში, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური განვითარების ელექტრონული ჟურნალი, ტომი 1, № 2, რომი FAO, (https://core.ac.uk/download/pdf/6557502.pdf (ნოემბერი, 2016).

34 დ.მილერი (თარიღის გარეშე), "სასურსათო საზღვრები ზამბიაში: წინააღმდეგობა და პარტნიორობა Shoprite-ის საცალო იმპერიაში", www.africafiles.org/article.asp?ID=18515 (ნოემბერი, 2016).

35 ოქსფამი (2011) „მიწა და ძალაუფლება", მოხსენება 151, გვ. 1-2, http://policy-practice.oxfam.org.uk/publications/land-and-power-the-growing-scandal-surrounding-the-new-wave-of-investments-in-l-142858, საერთაშორისო სამუშაო ჯგუფი ადგილობრივი მოსახლეობის საკითხებზე (2014), და '"ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები მიწაზე": მიწის მიტაცების საფრთხეები, კოპენჰაგენი, გვ.1, www.iwgia.org/publications/search-pubs?publication_id=693 (ნოემბერი, 2016).

და აგრო-ტურიზმის განვითარებისთვის.[36] ერთის მხრივ, ეს შეიძლება წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდეს, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა ასეთ შემთხვევაში მთავრობამ არა მარტო უნდა გააკონტროლოს ხელშეკრულების დადების პირობები, არამედ მისი განხორციელების პროცესი და გაითვალისწინოს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები ამ პროცესში.

ევროკავშირის სარეკლამო მასალების თანახმად, 2013 წელს საქართველოში ყველაზე დიდი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა ნიდერლანდებიდან და ლუქსემბურგიდან.[37] ორივე ეს ქვეყანა ცნობილია როგორც კორპორატიული საგადასახადო დაგეგმვის წყარო. ლუქსემბურგიდან ინვესტიცია კორპორაცია ფერეროს ეკუთვნის, რომელიც მსოფლიოში თხილის ყველაზე დიდი შემსყიდველია და ყველაზე დიდი უცხოური ინვესტორია საქართველოს სოფლის მეურნეობაში. ისევე, როგორც ბევრი დიდი იტალიური კომპანია, ფერერო რეგისტრირებულია და მისი შტაბბინა მდებარეობს ლუქსემბურგში, სადაც „მეგობრული საგადასახადო სისტემის" გამო ბევრი დიდი კომპანია რეგისტრირდება.[38] ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირის ქვეყნები სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ტრანსნაციონალური კომპანიების მიმართ, რომლებიც თავიანთ მოგებას იმ ქვეყნებში აბანდებენ, სადაც მათთვის ხელსაყრელი საგადასახადო სისტემაა და ამგვარად ცდილობენ თავი დააღწიონ გარკვეულ ვალდებულებებს. ეს ეხება მცირე კუნძულოვან სახელმწიფოებს კარიბის ზღვაში, ლამანშის ყურეს და სხვა ადგილებს და ევროპის ქვეყნებს, როგორიცაა ლუქსემბურგი და ირლანდია.

კიევში დაფუძნებული იურიდიული ფირმა Aequo კონსულტაციებს უწევს ფერეროს, უკრაინის საბაჟო და საგადასახადო საკითხებზე საავტორო ჰონორარის საკითხებთან დაკაშირებით.[39] ეჭვგარეშეა, რომ ფერერო სათანადო რჩევებს იღებს მსგავს საკითხებზე საქართველოშიც, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში. არ არსებობს რაიმე ფაქტი ან მტკიცებულება, რომ ფერერო რომელიმე კანონს არღვევს ან ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას, თუმცა მსგავი სიტუაციები პრობლემებს უქმნის ევროკავშირის სხვა წევრებს, რაც იმას მოასწავებს, რომ შესაძლოა საქართველოც დაზარალდეს არაკეთილსინდისიერი საერთაშორისო გადარიცხვებით ნაკლებად კეთილსინდისიერი უცხოელი ინვესტორების მხრიდან. ეს კი ნამდილად ართულებს მდგომარეობას, როგორც შემოსავლების, ასევე საგადასახადო წესრიგის კუთხით.

ამ სფეროში სუსტი პოზიცია აქვთ დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებს; მათ არ შესწევთ უნარი იმისა, რომ უზრუნველყონ საგადასახადო თანხების ამოღება, აღკვეთონ მიწაზე უცხოური ინვესტიციების მიერ ადგილობრივი ინტერესების ექსპლოატაცია, ხელი შეუწყონ ფართო-მასშტაბიან საცალო ვაჭრობის განვითარებას, რათა ამან დადებითი გავლენა მოახდინოს სოფლის მეურნეობაზე. საქართველოს მთავრობამ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ამ საკითხებთან დაკავშირებით და რაც შეიძლება მეტი პროფესიონალური რჩევა გაითვალისწინოს.

DCFTA-ს გარდა საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის დაიდო კიდევ 16 ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება, რომელიც საშუალებას მისცემს ამ ქვეყნებს მოითხოვონ კომპენსაცია სპეციალურ საარბიტრაჟო სასამართლოებში, თუკი კომპანიები ჩათვლიან, რომ ხელისუფლება უსამართლოდ მოექცა მათ თავისი ქმედებებით. მათ რიცხვშია ევროკავშირის 17 ქვეყანა, ევროპის ყველა დიდი ქვეყნის ჩათვლით, გარდა პოლონეთისა.[40] ევროკავშირი დიდ ქვეყნებთან მსგავსი სავაჭრო შეთანხმების დადებისაკენ მოუწოდებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, მათ შორის კანადასა და აშშ-სთან, თუმცა ეს საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა თავად ევროკავშირში. ამ სახის ზომების განხორციელება ევროკავშირსა და საქართველოს შორის გათვალისწინებულია DCFTA-ს შეთნხმების მე-80 მუხლით.

---

36 საქართველოს მთავრობა (2014), „25 მილიონი დოლარი ჩაიდება დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში, თბილისი, 3 სექტემბერი, www.farmlandgrab.org/post/print/23920 (ნოემბერი, 2016) წყაროდ გამოყენებულია www.moa.gov.ge/index.php?menuid=17&lang=2&id=262#.VA3RRedRFA4.

37 ევროკომისია (2014), საქართველო-ევროკავშირს შორის ვაჭრობა: ინვესტირების გაადვილება, ბრიუსელი, http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/eap_aa/1dcfta_invest_2014_en.pdf (ოქტომბერი, 2016).

38 იტალია ევროპა 24, საოჯახო მეურნეობების მიერ ლუქსემბურგის საგადასახადო სისტემის გადახედვა", 8 იანვარი, 2015, www.italy24.ilsole24ore.com/art/markets/2015-01-07/family-holdings-rethink-their-tax-based-luxembourg-strategy-and-return-home-191656.php?uuid=ABa89EaC (ოქტომბერი, 2016).

39 ინფორმაცია ვებ-გვერდიდან: www.aequo.com.ua/projects/?search_word=ferrero&partner=0&industry=0&practic=0#-search (ოქტომბერი, 2016).

40 ინფორმაცია UNCTAD ვებ-გვერდიდან: http://investmentpolicyhub.unctad.org/IIA/CountryBits/77 (ოქტომბერი 2016). ერთ-ერთი ხელშეკრულებება საქართველოსთან შეთანხმებული იქნა ბელგიასა და ლუქსემბურგთან ერთად.

6. სოფლის მეურნეობის აღორძინების პოლიტიკა

ამჟამინდელი ხელისუფლების სერიოზული განზრახვა მის მიერ გამოქვეყნებულ უამრავ გეგმებსა და სტრატეგიებში ჩანს, მათ შორის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში "საქართველო 2020", საქართველოს 2015-2020 წწ. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიისა და 2014-2017 წლებში DCFTA შეთანხმების განხორციელების 46-პუნქტიან სამოქმედო გეგმაში. ამ კონტექსტში არსებობს მრავალი მექანიზმი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე მეურნეობის აღორძინებას და DCFTA-ს გვერდითი მოვლენების განეიტრალებას ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში. მათ შორის რამდენიმე მათგანი გაჟღერებულ იქნა საქართველოს ფერმერთა კონგრესის მიერ 2016 წლის ივნისში.

უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ერთობლივი მოქმედება, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მცირე მეურნეთა მდგომარეობა.[41] თუ გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობასა და მათი ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი საქმიანობის მოცულობას, დასაწყისისათვის ბიუჯეტის ათი პროცენტი მხოლოდ ამ მიზნისათვის უნდა იქნას გათვალისწინებული. რაც შეეხება კონკრეტულ ნაბიჯებს, მცირე მეურნეთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა:

1. 2020 წლისათვის სახელმწიფო ხარჯებში 10%-ით გაიზრდოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი;
2. გაფართოვდეს და გაერთიანდეს სახნავ-სათესი სასოფლო-სამეურნეო მიწები, რათა მოხდეს მიტოვებული მიწების დამუშავება, განსაკუთრებით იმ მიწებისა, რომელზეც ხდება ძირითადი საკვები კულტურების მოყვანა, რაც შემდგომში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხორბლის რაოდენობის გაზრდას. აღნიშნული განხილულ უნდა იქნას, როგორც აუცილებელი და დაუყოვნებლივი მოთხოვნა, რომელიც სათანადო ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მიერ დადგენილი წესების მიხედვით.
3. განვითარდეს ინფრასტრუქტურა სოფლად, მათ შორის:
   - საჭიროა განვითარდეს საგზაო და სარკინიგზო ტრანსპორტი, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე მეურნეთა ბაზრებზე წვდომას (არამარტო მთიან რეგიონში მცხოვრები მეურნეებისათვის).
   - მთავრობის სოფლის მეურნეობის სტრატეგიის თანახმად, უნდა განხორციელდეს კვლევა მოსავლის აღების ტექნიკურ საშუალებებში ინვესტირების თაობაზე, რათა „გახანგრძლივდეს მოსავლის შენახვის ვადები, მოსავალმა შეინარჩუნოს ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, ასევე გაფართოვდეს მისი დისტრიბუციის არხები." აღნიშნულ კვლევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ფერმერული ორგანიზაციების, მათ შორის კოოპერატივების ჩართულობას ამ პროცესში."[42]
   - განვითარდეს სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები, დასაწყისისათვის - სოფლიდან ადგილობრივი მიწოდების პუნქტამდე, შემდეგ ეტაპზე კი - რეგიონული და ქვეყნის მასშტაბით. ეს რადიკალურად შეცვლის სიტუაციას შიდა ბაზარზე, შეზღუდავს სეზონური ფასების მერყეობას და საშუალებას მისცემს მეურნეებს მოსავლის აღებიდან გარკვეული ხნის შემდეგ გაყიდონ თავიანთი პროდუქცია უფრო შორეული ბაზრებისათვის და უფრო მაღალ ფასად.
   - შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების მართვის ეფექტური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის ნაგავსაყრელების დასუფთავებას, ნაგვის შემგროვებელი კონტეინერების დადგმას, ნარჩენების რეგულარულ გატანას და გადამუშავებას.
4. განვითარდეს უფასო ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის დანერგვისა და სწავლების სამსახურები, რომელიც მოიცავს:
   - რეგულარულ კონსულტაციებს ფერმერებისათვის აგრარულ და კომერციულ საკითხებზე მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ონლაინ მომსახურების მეშვეობით. აღნიშნული კონსულტაციები ერთნაირი რაოდენობით უნდა ჩაუტარდეთ მამაკაცებს და ქალებს.[43]
   - სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ უფასო სასოფლო-სამეურნეო სასწავლო კურსებს ყველა

41 იხ. CSM (2016), თავი. 3, "'საჯარო პოლიტიკის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ ბაზრებზე." სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015), გვ. 29.

42 სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2015), გვ. 29.

43 UN Women (2016), სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება, თბილისი, გვ. 33 http://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2016/04/gender-assessment-of-agriculture-and-local-development-systems (2016).

ასაკის მცირე ფერმერთათვის, როგორც ქალების და ასევე მამაკაცებისათვის.

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუნიციპალური საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს, რომელიც ორიენტირებული იქნება მცირე მეურნეთა მოთხოვნებზე, რეგულარულად მიაწვდის მათ ინფორმაციას სოფლის, ქალაქის და უცხოური ბაზრების კომერციულ შესაძლებლობებზე.
- საინფორმაციო სამსახურს, რომელიც მცირე მეურნეებს მიაწვდის ადეკვატურ ინფორმაციასა და რჩევებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატებზე და სასუქებზე.
- სისტემას, რომელიც ხელს შეუწყობს ტრადიციული ქართული სასოფლო-სამეურნეო მეთოდების, სხვადასხვა მარცვლოვანი კულტურებისა და პირუტყვის ჯიშების აღორძინებასა და განვითარებას. ეს გაზრდის ეკოლოგიურ და კვებით მრავალფეროვნებას, ხელს შეუწყობს მცირე მეურნეთა ეკონომიკურ გაძლიერებას და შეამცირებს გარემოსთვის მიყენებულ ზიანს.

გასტრონომიული ტურიზმი სოფლად

ბოლო წლებში საქართველოში სწრაფად განვითარდა ტურიზმი და ადგილობრივმა მოსახლეობამ უფრო მეტი შემოსავლის მიღება დაიწყო ტურიზმით, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან და სურსათიდან ერთად აღებული. საქართველოში ტურიზმი ხასიათდება მრავალფეროვნებითა და დეცენტრალიზებულობის მაღალი დონით. იგი ძირითადად განვითარებულია ქალაქგარეთ და მჭიდროდაა დაკავშირებული კარგ საკვებთან და ღვინოსთან.

DCFTA შეთანხმების ფარგლებში არსებული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში საქართველოში მოგზაურობა შეიძლება განსაკუთრებით მიმზიდველი გახდეს ევროპელებისათვის, ქვეყნის შედარებითი ტერიტორიული სიახლოვისა და მისი უნიკალური თვისებების გამო. ევროპელის თვალით, საქართველო მათ სთავაზობს მათთვის, ერთის მხრივ, ნაცნობ და მეორე მხრივ, ეგზოტიკურ ნარევს, მაგრამ ბევრ პოტენციურ ვიზიტორს აშინებს პოლიტიკური არეულობის სტერეოტიპი, ვინაიდან ინფორმაცია საქართველოში დანაშაულის განსაკუთრებულად დაბალი დონის შესახებ არ შუქდება ფართო მასშტაბით.[44]

ტურიზმს შეუძლია არა-სასოფლო სამეურნეო შემოსავლებით უზრუნველყოს სოფლის მოსახლეობის უმეტესობა და ამავდროულად, ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვას უცხოურ ვალუტაში საექსპორტო პროცედურების გვერდის ავლით. ქართული სამზარეულო შესაძლოა კარგად წარმოჩინდეს გასტრონომიული ტურებით სოფლად, რის შედეგადაც გაიზრდება მცირე მეურნეთა, როგორც არა-სასოფლო, ასევე სასოფლო-სამეურნეო შემოსავლები.

სხვადასხვა შემოთავაზებები განთავსებულია Georgia Travel-ის ვებ-საიტზე[45] კატეგორიებში: სათავგადასავლო, კულტურული, საკვები და ღვინო, სათხილამურო სპორტი და ეროვნული პარკები. საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს, გასტრონომიული ტურიზმი შესაძლოა უფრო განვითარდეს, რათა მაქსიმალური სარგებელი მიიღონ მცირე მეურნეობებმა. მაგალითად, რთული არ არის წარმოვიდგინოთ მიმზიდველი სლოგანები, როგორიცაა "ოქროს საწმისის ქვეყანა" და „ღვინის სამშობლო".[45]

5. გაძლიერდეს ეკონომიკური რეგულაციები:
   - დარეგულირდეს ლარის გაცვლითი კურსი, რათა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციამ შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა იმპორტულ საქონელთან მიმართებაში. მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ეს პოლიტიკის მგრძნობიარე, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხია.
   - გატარდეს სათანადო ზომები იმისათვის, რომ მცირე მეურნეობები ნაკლებად იყოს დამოკიდებული შუამავალზე (ე.წ. გადამყიდველზე). ახალი პროგრამა, რომელიც მალაიზიაში დაინერგა (სადაც საქართველოს მცირე მეურნეობების ზომის მსგავსი მეურნეობები არსებობს), სწრაფად გახდა

44 2016 წლის შუალედური მოხსენება: საქართველო 118 ქვეყანას შორის დაფიქსირდა როგორც მესამე უსაფრთხო ქვეყანა დანაშაულის რიცხვის მიხედვით. იხ. www.numbeo.com/crime/rankings_by_country.jsp.

45 http://georgia.travel/.

წარმატებული, ვინაიდან პროგრამამ ხელი შეუწყო ფერმერთა ასოციაციების ჩამოყალიბებას, ადგილობრივი პროდუქციის მარკეტინგს, ფერმერებისა და მეთევზეებისათვის ხელმისაწვდომი სესხების შეთავაზებას და ფერმერების ბაზარზე პირდაპირ წვდომას.[46]

- დაინერგოს პროგრამები, რომლებიც წაახალისებენ სუპერმარკეტებსა და ქალაქის სხვადასხვა მნიშვნელოვან საცალო/საბითუმო სავაჭრო დაწესებულებებს უფრო მეტი საქონელი შეიძინონ ადგილობრივი მცირე მეურნეებისაგან, მათ შორის კოოპერატივებისა და მცირე მეურნეთა დაკონტრაქტების საფუძველზე.[47]
- გატარდეს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტური პოლიტიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროში.

6. მოხდეს ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერა:

- ხელი შეეწყოთ მცირე მეურნეებს დაირეგისტრირონ მიწა თავიანთ საკუთრებაში, რათა გამოიყენონ საკუთრების უფლება ბანკიდან აღებული სესხის უზრუნველყოფის მიზნით.
- მოხდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერება მცირე მეურნეობების მხარდასაჭერად. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია კოოპერატივებში სოფლად შემოსავლების გენერირებისა და ბიზნესის შესახებ ისევე ადვილად იყოს ხელმისაწვდომი ქალებისათვის, როგორც მამაკაცებისათვის.
- მთავრობის მიერ დაფინანსებული შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტი გარდაიქმნას სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბანკად, რომლის კრედიტი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ზომის ფერმისთვის და ასევე კოოპერატივებისთვის. მაგალითად, ფრანგულ ფინანსურ ორგანიზაცია France's Crédit Agricole-ს და ნიდერლანდების Rabobank-ს მრავალი წლის წარმატებული გამოცდილება აქვთ ამ სფეროში, სასოფლო-სამეურნეო ბანკის ორმხრივი მფლობელობის პირობებში. საჭიროა, ასევე შემუშავდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს მცირე მეურნეებს ისარგებლონ კრედიტით, როგორც ეს უკვე გაკეთდა უნგრეთში სოფლის საკრედიტო საგარანტიო ფონდის და მსგავსი მექანიზმების გზით. ამ მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" და „საკრედიტო კავშირების შესახებ".
- გაგრძელდეს აგრო-დაზღვევის პროგრამის დახვეწა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდება, როგორც სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებული ეროვნული სააგენტო.
- უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს მხრიდან სესხების თანაბრად ხელმისაწვდომობა ქალი მცირე მეურნეებისათვის, ფერმერებისთვის და დამწყები ბიზნესებისათვის.
- უზრუნველყოფილ იქნას მცირე მეურნეთა და არაკომერციული მეურნეობების პირდაპირი ჩართულობა სახელმწიფო პროგრამებში.
- სახელმწიფო შესყიდვების დროს (სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის შეძენისას) პრიორიტეტი მიენიჭოს მცირე მეურნეებს.

46 სუჰაიმე ს, და სხვები (2015), "მალაიზიაში კოოპერატივების როლი სოფლის მეურნეობის მარკეტინგის ეფექტურობის გაზრდის საქმეში" სერდანგი, მალაიზია: მალაიზიის სოფლის მეურნეობის კვლევისა და განვითარების ინსტიტუტი, გვ. 12-17, (ნოემბერი 2016).

47 დეტალური ინფორმაციისთვის იხ. გაეროს გენერალური ასამბლეა (2011), დოკ. N.A /66/262, 4 აგვისტო, www.ohchr.org/Documents/Issues/Food/A.66.262_en.pdf და ActionAid International (2015), საკონტრაქტო სქემები: სიღარიბისა და შიმშილის დასაძლევად შესაბამისი მოდელების შემუშავება, www.actionaid.org/sites/files/actionaid/contract_farming.pdf (ოქტომბერი, 2016).

მცირე მეურნეობები და ღვინო

საქართველოს ყველაზე გამორჩეული და უძველესი ღვინის კულტურა აქვს მთელ მსოფლიოში ღვინის კულტურის სიძველის, ყურძნის ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნებისა და ზოგიერთი შესანიშნავი უძველესი ღვინის დამზადების მეთოდის გამო (მაგალითად, ღვინის ქვევრში შენახვის ტრადიცია, რომელსაც დღესაც ენიჭება უპირატესობა). თითქმის ყველა უცხოელ სტუმარს სმენია ქართული ღვინის შესახებ, თუმცა ყველას არა.

ზოგიერთი ქართული ღვინის ექსპორტი ხდება დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, მაგრამ მათი დაჯგუფება ხდება სხვა ნაკლებად ცნობილი წარმომავლობის ღვინოებთან და საშუალო ფასები ადევთ. როგორც კი ქვეყნა ცნობილი გახდება თავისი ტურიზმით და სხვა საშუალებებით, ქართული ღვინის ხარისხი და რეპუტაცია კიდევ უფრო გაუმჯობესდება და ქართული ღვინო თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს საექსპორტო ბაზარზე.

მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილწარმოშობის, გეოგრაფიული აღნიშვნებსა და ყურძნის უნიკალურ ადგილობრივ ჯიშებზე მუშაობის პროცესს, რათა საქართველომ დაიმკვიდროს გამორჩეულად მაღალი ხარისხის ღვინის მწარმოებლის რეპუტაცია მსოფლიოში.

ქართული ღვინის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ვაზი იზრდება მცირე მეურნეების ნაკვეთებში და არა დიდ მამულებში. იგივე ხდება ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიც, როგორიცაა საფრანგეთი, მაგრამ ეს უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი.

ყველაზე დიდი ჩაის ექსპორტიორი ქვეყანა, რომელიც უმაღლესი ხარისხის ჩაის აწარმოებს, არის კენია. 1960 წელს კენიაში ჩაის წარმოება პირველად სწორედ მცირე მეურნეებმა დაიწყეს და სწორედ ისინი გახდნენ პიონერები, ვინც დიდ კორპორაციებთან დადეს კონტრაქტი. მას შემდეგ ყველა სხვა ქვეყნებში კენიელმა მცირე მეურნეებმა ჩაის ბაზრები ხელში ჩაიგდეს და ფაქტიურად გამორიცხეს დიდი მწარმოებლები კონკურენციიდან. ეს მოხდა კენიის ჩაის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობით, რომელსაც თავად კენიელი მცირე მეურნეები მართავენ. იგივე შეიძლება ითქვას კოლუმბიაში ყავის მწარმოებელ მცირე მეურნეებზეც.

საქართველოში მსგავსი მოდელი ხელს შეუწყობდა სოფლის სოციალურ განვითარებას, ღვინის სექტორის მნიშვნელოვან წინსვლასთან ერთად.

- შეიქმნას მარკირების ოფიციალური პროგრამა „ქართველი ფერმერი“, რომელიც დააკავშირებდა (ინგლისურად და ბევრ სხვა ენაზე) საქართველოსთან ბერძნულ სიტყვას γεωργος (“georgos”), რაც “ფერმერს“/მიწათმოქმედს ნიშნავს.
- ქალაქებში მოეწყოს ყოველკვირეული აგრარული (ფერმერთა) ბაზრობები მთავრობის დაფინანსებითა და მხარდაჭერით.
- ხელი შეეწყოს მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის, მათ შორის ტრადიციული მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვასა და განვითარებას. სხვადასხვა ქვეყნებს შორის შვეიცარიას, ნორვეგიას და იაპონიას სოფლის მეურნეობის ყველაზე განვითარებული პოლიტიკა აქვთ მაღალმთიანი რეგიონებისათვის, მაგრამ ამ რეგიონებში დიდი რაოდენობით სუბსიდირება ხდება. თავად ევროკავშირის მიერ შემოთავაზებულ იქნა 2 მიდგომა მაღალმთიანი რეგიონებისათვის: პირდაპირი გადასახადი სასოფლო-სამეურნეო მიწის თითოელ ჰექტარზე და კომპენსაცია დამატებითი ხარჯებისთვის და დანაკარგებისათვის.[48]

7. სურსათის უვნებლობის და გარემოს დაცვითი კონტროლი:

- ხელი შეეწყოს ყველა მცირე მეურნეს მომსახურების ეროვნული სამსახურების მეშვეობით გაეცნონ სურსათის უვნებლობის ახალ სტანდარტებს DCFTA-ს ფარგლებში. მცირე მეურნეთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი უნდა განისაზღვროს სურსათის უვნებლობის შესახებ ყველა ახლადმიღებულ კანონში.

48 იხ. Euromontana ვებ-გვერდი, ევროპის მაღალმთიანი რეგიონების ასოციაცია, www.euromontana.org/en/working-themes/agriculture-and-rural-development/ (ნოემბერი, 2016).

- მიღებულ იქნას ყველა სახის სამართლებრივი ზომები და აიკრძალოს არარეგისტრირებული ქიმიკატებით ვაჭრობა.
- შეიქმნას ადგილობრივი ლაბორატორიები და უზრუნველყოფილ იქნას მათი ხელმისაწვდომობა ყველა ფერმერისათვის.
- შემუშავდეს სპეციალური საგრანტო პროგრამები და სუბსიდიების სქემები და განისაზღვროს შეღავათიანი შესყიდვის პირობები მცირე მეურნეთა მიერ საჭირო აღჭურვილობის შესაძენად, რაც საჭიროა სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.
- ხელი შეეწყოს ბრუცელოზის და ცხოველთა სხვა დაავადებების პრევენციას. განისაზღვროს სავალდებულო ანგარიშგების ვალდებულება და მოხდეს სრული კომპენსაცია დაავადებული ცხოველების განადგურების შემთხვევაში.

8. ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის სხვა სექტორებს:
   - განვითარდეს ყურძნისა და ღვინის სექტორი, განსაკუთრებით მცირე მეურნეობებში. იხილეთ გრაფა ზედა სექციაში.
   - განვითარდეს საზღვაო თევზჭერა, მათ შორის ხელი შეეწყოს საკონსერვო ქარხანის დაარსებას.
9. ჩამოყალიბდეს მცირე მეურნეთა უფასო ან სუბსიდირებული სერტიფიცირების პროგრამა, რათა მათ მიენიჭოთ ორგანული პროდუქციის წარმოების დამადასტურებელი სერტიფიკატი.
10. ხელი შეეწყოს სასოფლო და გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას. იხილეთ გრაფა ზედა სექციაში.

7. დასკვნა

აღნიშნული მოხსენების მიზანი არ არის, რომ გადაჭარბებული მოლოდინი შექმნას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ბენეფიტების შესახებ, არც გამორიცხოს მცირე მეურნეობები ამ შეთანხმების მოქმედების არეალიდან. თუმცა მოხსენების მიზანია მისცეს შესაძლებლობა მცირე მეურნეობებსა და სოფლად არსებულ თემებს გამოიყენონ აღნიშნული შეთანხმების ბენეფიტები თავიანთ სასარგებლოდ, აღნიშნულ ჯგუფებზე მორგებული პოლიტიკისა და პარალელური პროგრამების მოძიების გზით, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული შეთანხმების პირდაპირი ბენეფიციარი საქართველოს საზოგადოების სრულიად სხვა ნაწილია.

საქართველოს ძალიან ძლიერი და ტრადიციული სოფლის მეურნეობისა და კვების სექტორი აქვს, რომელზეც მომავლის დაშენება შეიძლება. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ვიფიქროთ გრძელვადიან პერსპექტივებზე და გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებაც სახელმწიფო განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას.

აუცილებელია, რომ შევინარჩუნოთ არსებული პოზიტიური ტენდენციები, როგორიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდა, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და სოფლად მეწარმეობის წახალისება. საქართველოში ტურიზმისა და ღვინის სექტორის განვითარება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, თუკი მხედველობაში მივიღებთ მის დიდ პოტენციალს, მაგრამ ბოლო ათი წლის განმავლობაში პროგრესი ნამდვილად შესამჩნევია.